სერვანტესის სახელობის
გიმნაზია
აია-ჯესს

CERVANTES
GYMNASIUM
AIA - GESS

Georgian – English – Spanish school

თბილისი იპოლიტოვ-ივანოვის ქ.. №10
ტელ.: 265 17 67

www. aia-gess.ge

10 Ipolitov-Ivanovi, Tbilisi
Tel.: 265 17 67

რეგ. № 4/ც - 262
“ 25 ” 07 2017 წ.

სამადლობელი წერილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს

ბატონ არჩილ ფრანგიშვილს

სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესსი მადლობას გიხდით, რომ მხარს უჭერთ სახელმწიფოს მიდგომას გაზარდოს მეცნიერთა ინტერესი სასკოლო პროცესში მონაწილეობისათვის, დანერგოს სასწავლო პროცესში ისეთი სიახლეები, რაც გაზრდის მოსწავლეთა ინტერესს ფიზიკისა და ინჟინერიისადმი, ხელს უწყობთ განათლებისა და კვლევების დაახლოებას და ამ გზით მეცნიერების პოპულარიზაციას.

განსაკუთრებით მადლობას გიხდით საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბატონ აკაკი გიგინეიშვილის და პროფესორის ბატონ თეიმურაზ ჩიჩუას კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და იმ დამოკიდებულების გამო, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას კვლევებში და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისათვის.

ბატონი თეიმურაზის მენტორობით ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა მოიპოვეს:

- 2015 წელს მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ გრანპრი და მესამე ადგილი.

- 2016 წელს ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ფინალში პირველი ადგილი და გაემგზავრნენ ნასას კენედის კოსმოსურ ცენტში, აშშ–ში, რომელიც მთლიანად დააფინანსა აშშ–ს საელჩომ.
- 2016 წლის მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ გრანპრი და მეორე ადგილი.
- 2016 წლის 7-14 მაისს ამერიკის შეერთებულ შტატებში intel ISEF 2016-ის მსოფლიო ფინალში ჟიურის სიმპათია.
- 2017 წლის 13 მაისს ქალაქ ლოს-ანჟელესში, (კალიფორნია, აშშ) Intel-ISEF 2017.
- ნიუ-იორკის ოსვეგოს უნივერსიტეტის GENIUS OLYMPIAD ფინალურ ეტაპზე ვერცხლის მედლები და მეოთხე ადგილი.

გიმნაზიის ხელმძღვანელობამ მადლიერება, თანამშრომლობისადმი პოზიტიური დამოკიდებულება გამოვხატეთ, როცა ჩვენი სკოლის მოსწავლეები ლოს ანჟელესსა და ნიუ-იორკის ოსვეგოს უნივერსიტეტში ჟიურისა და საზოგადოების წინაშე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და გიმნაზიის ლოგოებით დამშვენებული მაისურებით წარსდგნენ (http://www.aia-gess.ge/sazgvargaret/saert_konfer_turn/198--gess-intel-isef-.html; http://www.aia-gess.ge/sazgvargaret/saert_konfer_turn/204--gess-genius-olympiad-.html)

გიმნაზიის დირექცია მადლობას გიხდით მოქალაქეობრივი პოზიციისა და მეცნიერების პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის.

იმედი გვაქვს შემდგომი თანამშრომლობის.

სერვანტესის სახელობის გიმნაზია
აია-ჯესსის დირექტორი: */რ. ბოლქვაძე/*